

Curriculum Vitae

Name	Ilia
Surname	Baratashvili
Date and place of birth	27 July, 1933, v.Simoneti, Georgian SSR
Address:	
Work	15, A.Qazbegi Ave. F.Tavadze Institute of Metallurgy and Material Science
Higher education:	
1951-1956	Georgian Polytechnical Institute, Engineer Metallurgist
Scientific degree and title:	
1985	Doctor of Technical Sciences
1987	Professor
1997	Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences
Positions held:	
1956-1957	Engineer at the Institute of Avtomretsvi, Rustavi
1957-1961	Junior research worker at the Institute of Metallurgy and Material Science, Georgian Academy of Sciences
1961-1980	Senior research worker at the same Institute
1980-1989	Head of laboratory of physical chemistry of metallurgical processes at the same Institute
1989-1991	Deputy Director for scientific work at the same Institute
1991-2006	Director of the - F.Tavadze Institute of Metallurgy and Material Science, Georgian Academy of Sciences
2006	to the present day Consultant of the scientific council, F.Tavadze Institute of Metallurgy and Material Sciences
Sphere of scientific interests:	
Number of published works	135
List of principal scientific works	Monographs: <ol style="list-style-type: none">1. Термодинамика взаимодействия марганца с фосфором. «Мецниереба», Тбилиси, 1982, 116 с.2. Теоретические основы дефосфорации и десульфурации марганца и сплавов на его основе. «Мецниереба», Тбилиси, 1987, 157 с. Book: <ul style="list-style-type: none">• Основные направления научно-технического прогресса в черной металлургии зарубежных стран. Тбилиси, 1993, 293 с. (co-author) Textbook: <ul style="list-style-type: none">• Steel Metallurgy. Metsniereba, 2002, 729 p. (co-author) Papers: <ol style="list-style-type: none">1. Investigation of structural stability, physical and mechanical property of nitrogen free and nitrogen containing austenitic alloys of Fe-Cr-Mn system at cryogenic temperatures. <i>Journal de Physique</i> 4, 112, 2003, p. 279-2822. Phase stability Fe-Cr-Mn system a problem of development of stainless on its basis. Trans. Institute of Cryogenic Materials. v.50, 2004, pp. 93-97 (co-author)
Contact telephones:	Work (+995 32) 370281 (+995 99) 454817
E-mail:	



იმისთანა წმინდა საქმეში, ბრძოლაში ბეჭდუნი სიფყვას, ფეხლებით და ქაბუბით ბუბთის გატანა ყულა უკადრისებაზე უსამბაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 აპრილი, 2010 წელი. №151 (6517)

სანთელი

№ 151. შაბათი, 14 აპრილი, 2010 წელი.

გაოსათხოვარი

ილია ბარათაშვილი

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ და ტექნიკურმა ინტელიგენციამ განიცადეს მძიმე დანაკლისი - გარდაიცვალა ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, გიორგი ნიკოლაძისა და პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ბარათაშვილი.

ილია ბარათაშვილი სტუდენტობის პერიოდშივე გამოირჩეოდა მაღალი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით, იგი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის პირველი ლენინური სტიპენდიანტი და იმ თაობის მეტალურგთა ჭეშმარიტი ლიდერი.

1956 წელს, ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობას იწყებს რუსეთის ინსტიტუტ „ავტომატრენვი“ ინჟინრად, ხოლო 1957 წლიდან გარდაცვალებამდე - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელია. აქ მან განვლო მეცნიერული კარიერის ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორამდე (1991-2006 წწ.). უკანასკნელ წლებში ი. ბარათაშვილი აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობდა ინსტიტუტის შემოქმედებით საქმიანობაში, როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს კონსულტანტი.

1962 წელს ი. ბარათაშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში, ბაკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში, ხოლო 1984 წელს სადოქტორო დისერტაცია შავი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრალურ ინსტიტუტში.

ილია ბარათაშვილის სამეცნიერო საქმიანობის სპექტრი მრავალფეროვანია და მოიცავს მეტალურგიული მეცნიერების საკვანძო პრობლემებს. მათგან ერთ-ერთი ძირითადია მეტალურგიული პროცესების ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით კვლევა. ამ მიმართულებით მიღებულ შედეგთაგან მეტად მნიშვნელოვანია მისი მიღწევები მეტალიურების მანგანუმთან და მის ფუძეზე არსებულ შენადნობებთან ურთიერთქმედების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების კანონზომიერებათა დადგენაში. აზოტის მანგანუმთან და მანგანუმთან შენადნობებთან ურთიერთქმედების თერმოდინამიკისა და კინეტიკის საკითხების გამოკვლევები საფუძვლად დაედო აზოტის ელექტროლიტური მანგანუმის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებას, რომელიც დაინერგა ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანაში.

მეტად საგულისხმა ი. ბარათაშვილის მიერ მანგანუმის ფოსფიდებში, თხევად მანგანუმსა და მის შენადნობებში ფოსფორისა და გოგირდის წიდასა და ლითონის შორის ნონასწორული განაწილების კანონზომიერებათა დადგენა. ნოვატრულია ამ თეორიული გამოკვლევების საფუძველზე მის მიერ შემოთავაზებული თხევადი მანგანუმის წიდეებით განვითარებისა და განვითარების მექანიზმები. ამ ნაწილში მიღებული შედეგები 1974 წ. ჩაინერგა მოსკოვის ქარხანა „ელექტროსტალი“ - ამ მუშაოში სახელწოდებით - ელექტროლიტური მანგანუმის რაფინირება და გადამდნობის ტექნოლოგია სინთეტური წიდეების გამოყენებით ი. ბარათაშვილს საერთო აღიარება მოუტანა.

ი. ბარათაშვილის მიერ იშვიათი მანგანუმის ფანგალოვანი ნაერთების ვოლფრამატების და ქრომიტების თერმოდინამიკურ თვისებათა ექსპერიმენტული კვლევის სფეროში მიღებული შედეგები შეტანილია ამ დარგის ავტორიტეტულ ცნობარებში.

რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო, გიორგი ნიკოლაძისა და პეტრე მელიქიშვილის პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ბარათაშვილი



და სამდიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. ბ-ნი ი. ბარათაშვილი დაიბადა 1933 წლის 27 ივლისს საქართველოში, სოფ. სიმონეთში. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი შავი ლითონის მეტალურგიის სპეციალობით და მიენიჭა ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაცია. 1962 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1984 წ. - სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 150 მეცნიერული ნაშრომი. არის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს „ფოლადის მეტალურგია“ თანაავტორი. 1956-1957 წლებში იყო ინსტიტუტ „ავტომატრენვის“ ინჟინერი (ქ. რუსთავში), 1957 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიისა და მასალათ-



განსაკუთრებული განხილვის საგანია ი. ბარათაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა არაორგანულ ნივთიერებათა თერმოდინამიკის სფეროში. კერძოდ, მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა ინტერმეტალური ნართების, კარბიდების, ნიტრიდების და ფოსფიდების ძირითადი თერმოდინამიკური მახასიათებლების საანგარიშო ფორმულები. მის მიერ გამოკვლეული და შესწავლილი მრავალი არაორგანული ნაერთის თერმოდინამიკური მახასიათებელი შეტანილია მსოფლიოს საცნობარო ლიტერატურაში, საინფორმაციო-კომპიუტერულ ბანკებში და წარმატებით გამოიყენება მეცნიერებისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ ახალი ქიმიური და მეტალურგიული ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებაში.

ი. ბარათაშვილი 135 გამოქვეყნებული ნაშრომის, მათ შორის 6 გამოგონებისა და 3 მონოგრაფიის ავტორია, რომლებმაც მას ფართო საზოგადოებრივი და სამეცნიერო აღიარება მოუტანა. მას გიორგი ნიკოლაძის (1984 წ.), პეტრე მელიქიშვილის (1990 წ.) და საქართველოს სახელმწიფო პრემიები (1993 წ.) მიანიჭებული აქვს თანაავტორებთან ერთად.

ი. ბარათაშვილი თავის სამეცნიერო საქმიანობას ნაყოფიერად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ი. ბარათაშვილი უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცემული სახელმძღვანელოს „ფოლადის მეტალურგია“ თანაავტორია. წლების განმავლობაში იგი სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების რედაქციურ კომიტეებში, არჩეული იყო რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის უცხოელ წევრად, უკრაინის უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად და უკრაინის მეტალურგიული აკადემიის საპატიო წევრად.

ი. ბარათაშვილი იყო ბუნების დიდი მოტრფიალი, ქართული კულტურული მემკვიდრეობის უბაღლო მფლობელი და ქობაძე, ინსტიტუტში მონაწილეობის საბოლოო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების უცვლელი თავკაცი, მას ფხვდაცე ქობაძე შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე-კუთხუთი, და რასაკვირველია, მთიანი რაჭაც. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, როგორც ყველა მეოცნებე კაცი, ისიც ფიქრობდა ქვეყნის მინერალური რესურსების, მათ შორის ზოფიტების სტიბიუმის ოქროს-შემცველი მადნების რაციონალურად გამოყენებაზე. ის ბავშვური გატაცებით მუშაობდა ზოფიტის მადნებიდან ლითონის ამოღების თერმოქიმიურ პროცესებზე. სამწუხაროდ, ეს მისი უკანასკნელი ოცნება აღმოჩნდა.

ილია ბარათაშვილის მეცნიერულმა მოღვაწეობამ, საუკეთესო ადამიანურმა თვისებებმა, სათანადო მამა და ქვამამამა მამულისეობამ განსაზღვრა ის უდიდესი ავტორიტეტი, რომლითაც იგი ახლოლებში, ინსტიტუტში და, საერთოდ, საზოგადოებაში სარგებლობდა.

ილია ბარათაშვილის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მის მეგობრებსა და კოლეგებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ქიმიისა და მათი რედაქციის განყოფილება.

ილია ბარათაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერ-მეტალურგი, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გ. ნიკოლაძის, პ. მელიქიშვილისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერების ინსტიტუტში მოღვაწეობდა, სადაც განვლო ცხოვრების უმაღლესი საინტერესო და ნაყოფიერი სამეცნიერო გზა უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე, რომელზედაც იგი 1991 წელს აირჩიეს. 2006 წლიდან გარდაცვალებამდე იგი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს კონსულტანტი იყო.

ი. ბარათაშვილი დაიბადა 1933 წელს. 1956 წელს მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაციით. 1956-1957 წლებში მუშაობდა რუსეთის „ავტომატრენვის“ ინსტიტუტში ინჟინრად. 1957 წლიდან გარდაცვალების დღემდე იგი ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობდა, სადაც განვლო ცხოვრების უმაღლესი საინტერესო და ნაყოფიერი სამეცნიერო გზა უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე, რომელზედაც იგი 1991 წელს აირჩიეს. 2006 წლიდან გარდაცვალებამდე იგი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს კონსულტანტი იყო.

ი. ბარათაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს მეტალურგიული პროცესების ფიზიკურ-ქიმიური კვლევების მნიშვნელოვან სფეროს. მის მიერ ჩატარებული კვლევები მეტალიურების სუფთა მანგანუმთან და მის ფუძეზე არსებულ შენადნობებთან ურთიერთქმედების ფიზიკურ-ქიმიური კანონზომიერებათა დადგენას ეხება და მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. მან ღრმად გამოკვლია მანგანუმთან და მანგანუმთან შენადნობებთან აზოტის ურთიერთქმედების თერმოდინამიკისა და კინეტიკის საკითხები. ამ შრომების ძირითადი ნაწილი საფუძვლად დაედო აზოტის ელექტროლიტური მანგანუმის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებას, რომელიც დაინერგა ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანაში.



ი. ბარათაშვილის მიერ ექსპერიმენტულად გამოკვლეულია მანგანუმის ფოსფიდების, თხევად მანგანუმსა და მისი ფუძის შენადნობებში ფოსფორისა და გოგირდის განზავებული სხარე-გირდების სქემა და მექანიზმი, ჩამოყალიბებული იყო მარაფინირების ნარევისადმი გაზრდილი მოთხოვნილებები და დამუშავებული სამრეწველო პირობებში გაუფოსფორების ტექნოლოგიური პარამეტრები. 1974 წელს ი. ბარათაშვილის მონაწილეობით ქარხანაში „ელექტროსტალი“ ჩაინერგა სინთეტური წიდეების გამოყენებით ელექტროლიტური მანგანუმის რაფინირებისა და გადამდნობის ტექნოლოგიური სქემა.

ი. ბარათაშვილი აქტიურად მონაწილეობდა აზოტის მაღალი შემცველობის მონე აუსტენიტურ-კრომირებული ფოლადების მიღებასა და მათი თვისებების კვლევაში. მის მიერ იშვიათი მანგანუმის ფანგალოვანი ნაერთების ვოლფრამატების და ქრომიტების თერმოდინამიკურ თვისებათა ექსპერიმენტული კვლევის სფეროში მიღებული შედეგები შეტანილია ამ დარგის ავტორიტეტულ ცნობარებში. ი. ბარათაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული არაორგანული კრისტალების თერმოდინამიკური მახასიათებლების ახალი საანგარიშო მეთოდების დამუშავებასთან. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შექმნა ინტერმეტალური ნართების, კარბიდების, ნიტრიდების, ფოსფიდების ძირითადი თერმოდინამიკური მახასიათებლების საანგარიშო ფორმულები. ისინი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ ახალი ქიმიური და მეტალურგიული ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბარათაშვილს მოუწია ინსტიტუტის ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის პირობებში. მიუხედავად ამისა მან შეძლო შეენარჩუნებინა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერული მიმართულებები. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ძირითადი მეცნიერული კადრების შენარჩუნების საქმეში.

უკანასკნელ წლებში ი. ბარათაშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ზოფიტის ოქროს-შემცველი სტიბიუმის მადნებიდან სტიბიუმისა და ოქროს ამოღების მეცნიერული და ტექნოლოგიური საფუძვლების დამუშავებაში.

წარმატებულმა მეცნიერულმა საქმიანობამ თავისი ასახვა ჰპოვა მის საკანდიდატო (1962) და სადოქტორო (1984) დისერტაციებში, მრავალრიცხოვან სამეცნიერო სტატიებში, სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში და მოიპოვა ფართო საზოგადოებრივი და სამეცნიერო აღიარება. ი. ბარათაშვილი 135 გამოქვეყნებული ნაშრომის, მათ შორის 6 გამოგონებისა და 3 მონოგრაფიის ავტორია. 1984-93 წ. მას მიანიჭებული აქვს თანაავტორებთან ერთად სხვადასხვა: 1984 წ. - გ. ნიკოლაძის, 1990 წელს - გ. მელიქიშვილის, ხოლო 1993 წ. - საქართველოს სახელმწიფო პრემიები. მის მიერ გამოკვლეული და შესწავლილი მრავალი არაორგანული ნაერთის თერმოდინამიკური მახასიათებელი შეტანილია მსოფლიოს საცნობარო ლიტერატურაში, საინფორმაციო-კომპიუტერულ ბანკებში და წარმატებით გამოიყენება მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ.

ი. ბარათაშვილი თავის სამეცნიერო საქმიანობას ნაყოფიერად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და სამეცნიერო კადრების მომზადებას. იგი უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცემული სახელმძღვანელოს „ფოლადის მეტალურგია“ თანაავტორია. წლების განმავლობაში იგი სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების რედაქციურ კომიტეებში, არჩეული იყო რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის უცხოელ წევრად, უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიის საპატიო აკადემიკოსად და უკრაინის მეტალურგიული აკადემიის საპატიო პროფესორად.

ი. ბარათაშვილი იყო მაღალი დონის მეცნიერ-მეტალურგი და სამართლიანად სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით ინსტიტუტის თანამშრომლებსა და სამეცნიერო წრეებში. მისთვის დამახასიათებელი საუკეთესო ადამიანური თვისებები - ჰუმანურობა, პატიოსნება, ჭეშმარიტებისადმი უმნიშვნელო მსახურების უნარი, ღრმა მეცნიერული ცოდნა, ფართო ერუდიცია, მაღალი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი თვითშეგნება განაპირობებდნენ თანამშრომლების, კოლეგებისა და მეგობრების უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას.

ილია ბარათაშვილის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მის მეგობრებსა და კოლეგებში.

ფერდინანდ თავაძის მემორიალური და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი.